თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2555575

ნომერი: AR1396634

თარიღი : 14.04.2016

გაცემის თარიღი : 21.04.2016

გაცნობის თარიღი : 25.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის V მ/რ, კორპუსი N5-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია მჭედლიშვილი პ/ნ 01002017542
- თბილისი გლდანი V მ/რ კორ. 5 ბ. 37

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1396634 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, გლდანის მე–5მ/რ–ის, მე–5კორპუსის და მე–5მ/რ–ის მე–8 კორპუსის # 01.11.10.013.151 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 16 თებერვლის #2436746 გადაწყვეტილებით, სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია #AR1378406 განცხადებით წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით მიწის ნაკვეთის, მდებარე ქ. თბილისში, გლდანის V მიკრო/რაიონი, კორპუსი N#5-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: #01.11.10.013.151, საზღვრების გეგმის კორექტირება.

სამსახურის 2016 წლის 01 მარტის #2411490 წერილით, “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2016 წლის 21 იანვრის #03 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 17 თებერვლის #204 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, გლდანის V მ/რ, კორპ. #5–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (ს/კ #01.11.10.013.151) განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ–2=5.0–ით.

2016 წლის 09 მარტის #2445206 ბრძანებით, ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.11.10.013.151) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

2016 წლის 13 აპრილს #AR1395788 ელექტრონული განაცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ზურაბ აბზიანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, გლდანის V მ/რ, კორპ. #5–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.11.10.013.151) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის (#01.11.10.013.151) მითითების შემთხვევაში.